ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N10

ქ. თბილისი; 26 დეკემბერი, 2017 წ. 17:30სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
ელენე ოზაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - გიორგი ებანოიძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის ,,საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების დადების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **გიორგი ებანოიძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის ,,საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების დადების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ევროკავშირისგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გრანტის გამოყოფის მიზანია, დაეხმაროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ბიზნეს აქსელერატორის შექმნაში.

ბატონმა **გიორგი ებანოიძემ** განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად გრანტის ოდენობა განისაზღვრა **506 633,93 (ხუთასექვსი ათას ექვსასოცდაცამეტი ევრო და ოთხმოცდაცამეტი ევროცენტი) ევროს ოდენობით,** რომელიც მოხმარდება ბიზნეს აქსელერატორის შენობის რემონტს და აღჭურვას. დამწყები ბიზნესის დამხმარე ექსპერტების სახელფასო ანაზღაურებას, სტრატეგიული დოკუმენტების და ბიზნეს გეგმების შექმნას. ხოლო. გრანტის ხანგრძლივობა მოიცავს **ოთხ წელს**.

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტის თანახმად, მერიის კონტრიბუცია იქნება მუნიციპალური საბიუჯეტო პროგრამების ამოქმედება 2019-2021 წლებში, რომლის მეშვეობითაც მოეწყობა სხვადასხვა ბიზნესის მასტიმულირებელი აქტივობები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ ვინაიდან გრანტის მიღებაზე თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაიცემა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, საკრებულოს განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომელიც თან დაერთვება კომისიის დასკვნას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა**.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ საკითხს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თინათინ კასრაძე